



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 14
27/04/2021

14-0-4-202104271540



საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 121-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების მე-5 მუხლის, მე-14 მუხლის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 აპრილის #05/2552 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სოფ. ტიბაანში მდებარე 4000კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე დამაგრებული 2100 კვ.მ შენობა-ნაგებობის დემონტაჟი(დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალა, ს.კ 56.07.54.004).
2. შეტანილ იქნეს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სოფ. ჯუგაანში მდებარე 6047 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე დამაგრებული 2460 კვ.მ შენობა-ნაგებობის დემონტაჟი(დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალა, ს.კ 56.06.51.136).
3. დამტკიცდეს პრივატიზაციის გეგმა დანართის შესაბამისად.
4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ ობიექტების პრივატიზება მოახდინოს დანართში მითითებული ფორმით.
5. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გოჩა ტოკლიკიშვილს.
6. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარეთათვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი ც. დადიანის ქ.#15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

